

02/09/2025



MES 7 25 0001051189

## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 15 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

**ელენე კაკაბაძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე; **ხათუნა ჩხარტიშვილი** - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

**ნათია ბუთხუზი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;

**გიორგი ვეკუა** - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

**ეკატერინე გიგაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

**გოჩა გოგიტიძე** - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;

**გოგიტა მშვენიერაძე** - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;

**ანა აროშიძე** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

**ქეთევან ციხისელი** - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**სოფიკო ბექირაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:**

ლია ხარებავა,  
ნინო ხარხელაური,  
ქეთევან ჭუჭულაშვილი,  
მანანა მოისწრაფიშვილი,  
ჯილდა აბაშიძე,  
ზაზა პაპიძე,  
ხათუნა ბაკურაძე,  
დემიდ ფასიეშვილი,  
აია გრიგალაშვილი,  
თემურ საღინაძე,  
ნანა შათირიშვილი,  
ალექსანდრე კეკენაძე,  
ნოდარ ჯანიაშვილი.

### **დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი**

**დირექტორი - სულხან სულხანიშვილი**

**ხარისხის მართვის მენეჯერი - მარიამ აბელიანი**

**მომზადების და გადამზადების პროფესიულ პროგრამებზე პასუხისმგებელი პირი - თინათინ ენდელაძე**

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი**

**დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - იღუმენია თეკლე (ნანა) სიხარულიძე**

**სასწავლო პროცესის მენეჯერი - ქეთევან გელაშვილი**

**ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“**

**დირექტორი - თამარი ზაქარაშვილი**

**ხარისხის მართვის მენეჯერი - ელისო ჯიქიძე**

**შპს მარნეულის კოლეჯი**

ნინო გომელაური - მარნეულის კოლეჯის აკადემიური დირექტორი  
სოფიო გომელაური - მარნეულის კოლეჯის ადმინისტრაციული დირექტორი  
იამზე ახალკაციშვილი - მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

**სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“**  
მამია ჯანჯალია - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი  
თამარ შალვაშვილი - დირექტორის მოადგილე

### **სსიპ - კოლეჯი "ბლექსი"**

გიორგი გოგიტიძე - დირექტორი

მაია თოოიძე - დირექტორის მოადგილე

კირთაძე ბიძინა - ხარისხის მართვის მენეჯერი

ინგა ლომთათიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი

ნუგზარ ბოლქვაძე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ ქედის მუნიციპალიტეტის მისამართზე

გიორგი ფუტკარაძე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ შუახევის მუნიციპალიტეტის მისამართზე

### **საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.**

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება წებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების წებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

### **დღის წესრიგი:**

- „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს N957772 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
- „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 დეკემბრის N1622598 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
- „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 30 მაისის N602945 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

4. „შპს მარნეულის კოლეჯის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 23 მაისის N565547 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
5. „სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის N425899 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის "ბაღის დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - კოლეჯის "ბლექსი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - კოლეჯის "თეთნულდი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით დღის წესრიგთან დაკავშირებით. კერძოდ, დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგით მერვე საკითხი, რომელიც ეხებოდა სსიპ - კოლეჯის "თეთნულდი" ავტორიზაციას, გადადებულიყო მომდევნო სხდომაზე, რომელიც დაიგეგმებოდა უახლოეს სამუშაო დღეს. აღნიშნული საკითხის გადადება გამოიწვია მუნიციპალიტეტში/დაწესებულებაში ელექტრო ენერგიის გათიშვამ, რომლის გარეშეც დაწესებულების წარმომადგენლები ვერ ახერხებენ სხდომაზე დასწრებას. აღნიშნულის თაობაზე კოლეჯმა ცენტრს წერილობით აცნობა სხდომის დაწყებამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა მიიღეს ცნობად და გადადეს დღის წესრიგის მე-8 საკითხის განხილვა.

### **განახლებული დღის წესრიგი:**

1. „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს N957772 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 დეკემბრის N1622598 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტი2“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 30 მაისის N602945 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
4. „შპს მარნეულის კოლეჯის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 23 მაისის N565547 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
5. „სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის N425899 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის "ბაღის დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - კოლეჯის "ბლექსი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

**პირველი საკითხი:** „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს N957772 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრირდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის N829147 - 07.07.25 და N848857 - 10.07.25 წერილები, რომლითაც დაწესებულება წარმოგვიდგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ პაკეტს, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამების პარამეტრები. კერძოდ, პროგრამების მოცულობა კრედიტებში განისაზღვრა შემდეგნაირად: კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 90 კრედიტი, კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 120 კრედიტი. ასევე, დაწესებულება გვაცნობებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. დაწესებულების გადაწყვეტილებით, აღნიშნულ პროგრამებზე უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას დაასრულებენ შეცვლამდე არსებულ პროფესიულ პროგრამაზე, ხოლო მიმდინარე წლის მიღების ფარგლებში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, რომლებიც სწავლას დაიწყებენ შემოდგომის პერიოდში, სწავლად დაიწყებენ განახლებულ/მოციფიცირებულ პროგრამაზე. ვმუამდგომლობთ საბჭოს წინაშე აღნიშნული პროგრამისთვის კრედიტების ცვლილებასთან დაკავშირებით, აქვე გაცნობებთ, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N957772 - 07.08.2025 გადაწყვეტილებაში, აღნიშნა ცენტრის წარმომადგენელმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს N957772 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი :

მომხრე: 8

#### წინააღმდეგი :

**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განთლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს N957772 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: ცვლილება განხორციელდეს „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 15 აგვისტო.

**მეორე საკითხი:** „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 დეკემბრის N1622598 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივმა კოლეჯმა წარმოადგინა ინფორმაცია (N949304-04.08.25) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „მებაღეობა“ განხორციელებული ცვლილებების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციით, დაწესებულება

გვაცნობებს, რომ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის 2025 წლის 6 ივნისის №630047 ბრძანებით დარეგისტრირდა „მებაღეობის“ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. აღსანიშნავია, რომ არ შეცვლილა პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კრედიტების რაოდენობა. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი აღნიშნულ პროგრამას ამჟამადაც ახორციელებს და აქტიური სტუდენტები მას მიღევად რეჟიმში დაასრულებენ. კოლეჯის მიერ მომზადებულია მოდიფიცირებული „მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში და რომლის მიხედვითაც სწავლას გააგრძელებენ საშემოდგომო მიღების სტუდენტები. გაცნობებთ, რომ კოლეჯის მიერ აღნიშნული პროგრამა თავდაპირველად ავტორიზაციის განაცხადში წარმოდგენილი იყო მოდულური ფორმით. შესაბამისად, საჭიროა განხორციელების ფორმის კორექტირება და ჩანაწერის „მოდულური“ ჩანაცვლება ტერმინით „იმიტირებული“. აღნიშნული ცვლილება უნდა აისახოს საბჭოს გადაწყვეტილებაშიც, აღნიშნული პროგრამისთვის განხორციელების ფორმასთან დაკავშირებით. ცვლილება უნდა შევიდეს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N1622598 - 19.12.2022 გადაწყვეტილებაში, აღნიშნა ცენტრის წარმომადგენელმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 დეკემბრის N1622598 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი :

მომხრე: 8

#### წინააღმდეგი :

**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განთლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯრების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 დეკემბრის N1622598 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: ცვლილება განხორციელდეს „მებაღეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 2**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 15 აგვისტო.

**მესამე საკითხი:** „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 30 მაისის N602945 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

### • არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

### • დიახ

საბჭოს წევრ, გოგიტა მშვენიერაძეს, ჰქონდა აცილება ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯთან „კონსტრუქტ2“, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს. აღნიშნულის თაობაზე მან განაცხადა სხდომის დაწყებისთანავე.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრირდა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2-ის N951751 წერილი, რომლითაც დაწესებულება წარმოგვიდგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ პაკეტს (ზესტაფონისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების მისამართზე), რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები. კერძოდ, პროგრამის მოცულობა კრედიტებში განისაზღვრა შემდეგნაირად: პროგრამის სახელწოდება: „ელექტროობა“, კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 66 კრედიტი, კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 81 კრედიტი. პროგრამის განხორციელების ადგილები: ქ. ვალე, სტალინის ქ.18, ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის 31. დაწესებულებამ ასევე დამატებით მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ საშემოდგომო მიღებას გამოცხადებს ახალი სტანდარტის შესაბამისი პროგრამით. ვშუამდგომლობთ საბჭოს წინაშე აღნიშნული პროგრამისთვის კრედიტების ცვლილებასთან დაკავშირებით, აქვე გაცნობებთ, რომ ცვლილება უნდა შევიდეს ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N602945 - 30.05.2025 გადაწყვეტილებაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ელექტროობა" ნაწილში, პროგრამის განხორციელების ორივე ადგილთან მიმართებით, აღნიშნა ცენტრის წარმომადგენელმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 30 მაისის N602945 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

## კენჭისყრის შედეგი :

მომხრე: 7

### წინააღმდეგი :

**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განვითარების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი

დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 30 მაისის N602945 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: ცვლილება განხორციელდეს „ელექტროობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 3**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 15 აგვისტო.

**მეოთხე საკითხი:** „შპს მარნეულის კოლეჯის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 23 მაისის N565547 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

#### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

#### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრირდა შპს მარნეულის კოლეჯის N915767 წერილი, რომლითაც დაწესებულება წარმოგვიდგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პაკეტს, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები. კერძოდ, პროგრამის სახელწოდება და მოცულობა კრედიტებში განისაზღვრა შემდეგნაირად: პროგრამის სახელწოდება: „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 55 კრედიტი, კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 70 კრედიტი. ვშუამდგომლობთ საბჭოს წინაშე აღნიშნული პროგრამისთვის კრედიტების ცვლილებასთან დაკავშირებით, აქვე გაცნობებთ, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N565547 - 23.05.2024 გადაწყვეტილებაში (შპს

მარნეულის კოლეჯის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ), აღნიშნა ცენტრის წარმომადგენელმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „შპს მარნეულის კოლეჯის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 23 მაისის N565547 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი :

მომხრე: 8

#### წინააღმდეგი :

**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განთლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს მარნეულის კოლეჯის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 23 მაისის N565547 გადაწყვეტილებაში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 4**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 15 აგვისტო.

**მეხუთე საკითხი:** „სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის N425899 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრირდა სსიპ - კოლეჯი ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის N861075 - 14.07.25 და N903903 - 23.07.25 წერილები, რომლითაც დაწესებულება წარმოგვიდგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" პაკეტს, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამების პარამეტრები. კერძოდ, პროგრამების მოცულობა კრედიტებში განისაზღვრა შემდეგნაირად: კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 55 კრედიტი, კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 70 კრედიტი. ასევე, დაწესებულება გვაცნობებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. დაწესებულების გადაწყვეტილებით, აღნიშნული ცვლილება განხორციელდება 2025 წლის საშემოდგომო მიღებიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის და არ გავრცელდება 2025 წლის საშემოდგომო მიღებამდე პროფესიულ პროგრამაზე "ინფორმაციის ტექნოლოგია" ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე. ვშუამდგომლობთ საბჭოს წინაშე აღნიშნული პროგრამისთვის კრედიტების ცვლილებასთან დაკავშირებით, აქვე გაცნობებთ, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N425899 - 18.04.2023 გადაწყვეტილებაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგია" პარამეტრების ნაწილში, აღნიშნა ცენტრის წარმომადგენელმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის N425899 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგი :

მომხრე: 8

#### წინააღმდეგი :

**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განთლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის N425899 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: ცვლილება განხორციელდეს „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 5**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 15 აგვისტო.

**მექქვსე საკითხი:** ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის "ბაღის დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლია ხარებავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 10 ივლისის №854296 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 15 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯში (ქ. თბილისი, სამრეკლოს ქ. № 19, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის კომპლექსი ), (შემდგომში-დაწესებულება), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 -ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წერიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინის“ განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე, დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო აუდიტორიები და ბიბლიოთეკის კატალოგი, შეაფასა საგანმანათლებლო მატერიალური რესურსების რელევანტურობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუ ჩაატარა პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ამ ეტაპზე ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი-მებადეობის საფუძველზე შემუშავებულ პროგრამას „ბალის დიზაინი“ მიღევად რეჟიმში. ვიზიტი მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში ჩატარდა. სტანდარტის დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა. ექსპერტთა ჯგუფმა შეჯერებული პოზიციის საფუძველზე განმავითარებელი რეკომენდაციები გასცა.

## განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.2. რეკომენდებულია დაწესებულებამ ვერიფიკაციის პროცესის მართვის პროცესების სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით უზრუნველყოს ვერიფიკაციის საკითხების განახლება.

### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბალის დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, „ბალის დიზაინი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. დაწესებულებას შიდა მარეგულირებელი აქტით, „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება-შეჩერების წესი“ დადგენილი აქვს დამატებითი პირობა პროგრამაზე ჩასარიცხად. კერძოდ, მოტივაციური გასაუბრების წარმატებით დაძლევის შემთხვევაში აპლიკანტს ენიჭება სტუდენტის სტატუსი დირექტორის ბრძანების საფუძველზე. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კოლეჯს გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი A გარემო, რომელიც სრულად არის აღჭურვილი 20 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო რესურსით: მაგიდა/სკამი, პერსონალური კომპიუტერი. პრაქტიკა 2 ნაწილისგან შედგება, ერთი ნაწილი მოიცავს საველე პრაქტიკას, აზომვებს, გარემოს შესწავლას და ბალის მოვლას, ხოლო მეორე მიმდინარეობს ლაბორატორიაში, სადაც ხდება დიზაინის შექმნა, ჯერ ქაღალდზე, ხოლო შემდეგ 3 გრაფიკული პროგრამის გამოყენებით. ყველა გრაფიკული პროგრამა ჩატარირთულია თითოეული სტუდენტის კომპიუტერში და ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმების შედეგად, პროგრამები ფუნქციურია. პროგრამის პრაქტიკის საველე ნაწილი, აზომვები, გარემოს შესწავლა და ბალის მოვლა ხორციელდება, როგორც კოლეჯის(10პა), აგრეთვე სამების საკათედრო ტერიტორიის ეზოში, სადაც მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობს ბალის მოვლის სამუშაოები. ყველა სამუშაო, რაც ხორციელდება აუდიტორიასა და ველზე უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 მაღალკვალიფიციური, გამოცდილი პედაგოგი. მათი რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას, რადგან ყველა მიმართულებას ყავს რამდენიმე პედაგოგი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა პედაგოგს აქვს როგორც დარგში მუშაობის, აგრეთვე პედაგოგიური მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. ისინი იცნობენ სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდებს და წარმატებით იყენებენ სწავლების პროცესში. პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს პროგრამის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო კალკულაციას და სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარს (10 სტუდენტი). პროგრამის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამა დაფინანსებულია უნარების სააგენტოს მიერ და ნაწილობრივ საპატრიარქოს მიერ. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას და პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. კოლეჯში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კოლეჯში არსებულ იმიტირებულ სასწავლო გარემოში, თუმცა გაცნობითი ექსკურსიების ორგანიზებისთვის, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „გარედნია“-სთან, მემორანდუმი დადასტურებულია ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით,

ხოლო მისი მოქმედების ვადა განუსაზღვრელია. მემორანდუმის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში შპს გარდენია, უზრუნველყოფს პროფესიული კოლეჯის სტუდენტებისათვის პრაქტიკის გატარებას თავის სარგებლობაში არსებულ სანერგეში. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ აღებული ვალდებულებები და იმოქმედონ მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას გააჩნია შეფასების სისტემა და ვერიფიკაციის მექანიზმი, განსაზღვრული აქვს ვერიფიკაციის ვალიდაციისა და პროცესების ზოგადი ჩარჩო, მაგრამ დოკუმენტში სრულად არ არის გაწერილი ვერიფიკაციის პროცესის ძირითადი ეტაპები. კერძოდ, დეტალურად არ არის აღწერილი: ვერიფიკაციის ჯგუფის გეგმა, გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების შერჩევის წესები. ვერიფიკაციის პრინციპების (ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა) შესრულების მექანიზმები. აგრეთვე ინფორმაციის მიწოდების, ვადები, ფორმა და პასუხისმგებელი პირები. აღნიშნულის გათვალისწინებით, თავმჯდომარემ დასვა კითხვა: თუ აღნიშნული კომპონენტები წარმოდგენილ დოკუმენტში სრულად არ არის გაწერილი, რა საფუძველზე მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა, რომ ინდიკატორის მოთხოვნა შესრულებულია და არსებული ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას და არ რჩება მხოლოდ ფორმალურ დონეზე.

დარგის ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას გაწერილი აქვს ვერიფიკაციის ძირითადი ეტაპები, თუმცა მათი აღწერა არასაკმარისად დეტალურია, რის გამოც ექსპერტებისთვის ბუნდოვანი რჩებოდა პროცესის მართვის სურათი. სწორედ ამიტომ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის მიზანიც იყო, რომ დაწესებულებას უფრო სრულყოფილად წარმოეჩინა თითოეული ეტაპი, რათა შემდგომში მარტივი ყოფილიყო დაწესებულებისთვის პოზიციონირება, პროცესის დაგეგმვა და განხორციელება. ექსპერტის თქმით, დოკუმენტი ზოგად ინფორმაციას მოიცავს, თუმცა არ იძლევა იმდენად ამომწურავ სურათს, რომ თავიდანვე ნათლად წარმოეჩინდეს ვერიფიკაციის პროცესი. რეკომენდაცია გამყარებული იყო იმ გარემოებითაც, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დამატებითი კითხვები ჰქონდა ვერიფიკაციის პროცესებთან დაკავშირებით, რაც გასაუბრებისას გამოიკვეთა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმოდგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ეთანხმებიან ექსპერტების მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციას. წარმომადგენლის თქმით, კოლეჯმა უკვე დაიწყო მუშაობა აღნიშნული მიმართულებით, მიმდინარეობს ვერიფიკაციის დოკუმენტის დახვეწა და უახლოეს პერიოდში შესაძლებელი იქნება მისი წარდგენა იმ ფორმით, როგორც ეს მოთხოვნილია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის "ბალის დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი :**

მომხრე: 8

**წინააღმდეგი :**

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯს (ს/კ: 404409261) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ბალის დიზაინის" (**დანართი 6**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 15 აგვისტო.

**მეშვიდე საკითხი:** სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჭუჭულაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის №630274 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექპერტთა

ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რისთვისაც ჯგუფმა დაგეგმა და განახორციელა ვიზიტი 2025 წლის 23-27 ივნისს სსიპ კოლეჯში „ბლექსი“ სამ მისამართზე: ქ. ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა №92ა, ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, აკაკი წერეთლის №4; შუახევის მუნიციპალიტეტი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. N8. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ქეთევან ჭუჭულაშვილმა, მანანა მოისწრაფიშვილმა და ჯილდა აბაშიძემ შეისწავლეს დაწესებულების პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებთან (I,III,IV,V) შესაბამისობა, პარალელურად დარგის ექსპერტებთან ერთად დაწესებულების თორმეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობა.

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოპოვებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებით. კოლეჯი წარმოადგენს ქ. ბათუმში წლების მანძილზე არსებული ყველა პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის სამართალმეცვიდრეს, ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ახორციელებს 14 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, 3 სხვადასხვა ლოკაციაზე იმიტირებული, კოოპერაციული, დუალური და ინტეგრირებული მიდგომით. კოლეჯი აღჭურვილია უახლესი სტანდარტების შესაბამისი სასწავლო ინვენტარითა და ულტრათანამედროვე მანქანა-დანადგარებით. 2021 წელს კოლეჯმა დაბა ქედისა და დაბა შუახევის მისამართზე მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრება, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილი სასწავლო და დამხმარე სივრცეების დათვალიერება. ასევე, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. ვიზიტმა თანამშრომლობით, მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჭუჭულაშვილმა, ისაუბრა კოლეჯის საუკეთესო გამოცდილების შესახებ.

### საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

- კოლეჯში 2022 წლის მიღებიდან ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდის ორგანიზებით, სტუდენტური სერვისების უზრუნველყოფის სპეციალისტის ჩართულობით, იმართება შეხვედრები ახალი მიღების ჯგუფების სტუდენტებთან, სპეციალურად მომზადებულ 5 საათიანი პროგრამით. თავდაპირველად სამიზნე ჯგუფებად შერჩეული იყო ის პროგრამები, რომლებზეც ჩარიცხულნი იყვნენ სსსმ პროფესიული სტუდენტები. მიღებული დადებითი შედეგიდან გამომდინარე მომდევნო წლის (2023 წლის) მიღებიდან შეხვედრები ხორციელდება ყველა ახლადმიღებულ ჯგუფში. შეხვედრის მიზანია: • სტუდენტების ერთმანეთთან დაახლოება; • გუნდის შეკვრა; • კოლეჯში არსებული ინკლუზიური განათლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; • ეფექტური კომუნიკაციის და გუნდური მუშაობის უპირატესობების მნიშვნელობის გააზრება. კოლეჯს ჰყავს სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკი, რომელიც აქტიურადაა ჩართული კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ყოველდღიურობაში.
- კოლეჯის შუახევის მისამართზე „შედუღების“ პროგრამის ფარგლებში სწავლობდა სმენის არმქონე სსსმ პროფესიული სტუდენტი, კოლეჯმა თავად უზრუნველყო პროფესიული

სტუდენტისთვის ჟესტური ენის თარჯიმნის მომზადება (ჟესტური ენის სერტიფიცირებული თარჯიმანი აჭარის რეგიონში იმუამად მხოლოდ სამი იყო, სამივე დასაქმებულია ბათუმის მისამართზე), კოლეჯის მიერ განხორციელდა კადრის მომზადება, სასწავლო პროცესი მოცემული სტუდენტის შემთხვევაში განხორციელდა ჟესტური ენის თარჯიმანის მომსახურებით.

- კოლეჯი ცდილობს ხელი შეუწყოს ცოდნის გაზიარებას როგორც კოლეჯს შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთაც, კოლეჯში დანერგილი პრაქტიკა ურთიერთდასწრება, რაც ხელი უწყობს პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობებისა და კომპეტენციების განვითარებას და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებიდან გამომდინარე სწავლების თანამედროვე მეთოდების ეფექტური გამოყენებას/დანერგვას. გარდა ამისა, კოლეჯის მიერ ჩატარებული ვერიფიკაციის პროცესი მუდმივად მიმდინარეობს გარე

### **სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

სიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის მშ-ს მიერ 10.03.2025 N 01-02/60 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან აკადემიის შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით:

5.1.1.4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით - ბათუმის მისამართზე შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს შეუსაბამობის აღმოფხვრა (იხ. ინდიკატორის აღწერა).

5.1.2.1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები - ბათუმის მისამართზე შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს შეუსაბამობის აღმოფხვრა (იხ. ინდიკატორის აღწერა).

5.1.2.4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. - შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს შეუსაბამობის აღმოფხვრა (იხ. ინდიკატორის აღწერა).

### **დაწესებულების განვითარება:**

2023 წლის დასასრულს პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს 2023 წლის გამარჯვებული, 3 (სამ) კატეგორიაში კოლეჯი „ბლექსი“ გახდა: „2023 წლის პროფესიული განათლების სტუდენტი“; „2023 წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი“; „2023 წლის საუკეთესო ინსტრუქტორი“.

კოლეჯმა მოიპოვა WorldSkills Georgia 2023 - ს ეროვნული კონკურსის სამი საპრიზო ადგილი - „კონდიტერიის“ პროგრამის მიმართულებით პირველი ადგილი კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტმა დაიკავა, რომელიც 2024 წელს, საფრანგეთში ქალაქ ლიონში, „WorldSkills WORLD“ - ზე იმყოფებოდა; „კულინარის ხელოვნების“ მიმართულებით, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა.

კონკურსის, - „2023 წლის საუკეთესო რეგიონული თანამშრომლობა“ გამარჯვებული გახდა კოლეჯი „ბლექსის“ მიერ წარდგენილი პროექტი ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით. ჯილდო კოლეჯს პროექტის „მაღალმთიან აჭარაში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ განხორციელებისთვის გადაეცა, ხოლო 2024 წელს კონკურსის მასპინძელი მაღალმთიანი აჭარა იყო.

### **დაწესებულების განვითარება პროგრამების მიხედვით:**

- 2019 წელს დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია რვა პროგრამით.
- 2019 წელსვე დაიმატა 5 პროგრამა.
- 2020 წელს დაიწყო ორი პროგრამის ინტეგრირებული ფორმით განხორციელება.
- 2021 წელს - გაიზარდა სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 3 პროგრამაზე, დაიმატა ახალი პროგრამა
- 2021 წელს კოლეჯს დაემატა ქედისა და შუახევის მისამართები, ქედაში - 1, ხოლო შუახევში - 2 პროგრამით.
- 2023 წელს შუახევის მისამართზე კოლეჯმა კიდევ ერთი, ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამა დაიმატა
- 2025 წელს კოლეჯი წარმოდგენილია 9 საავტორიზაციო პროგრამით ბათუმის, 2 - შუახევის და 1 - ქედის მისამართებზე.

## **მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

კოლეჯი წარმოდგენილია სამი ლოკაციით შემდეგ მისამართებზე: ქ. ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა №92ა; ქედის მუნიციპალიტეტი; დაბა ქედა, აკაკი წერეთლის №4 და შუახევის მუნიციპალიტეტი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. N8. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზუალური დათვალიერებით შეაფასეს კოლეჯის ინფრასტრუქტურის ფაქტობრივი მდგომარეობა და დასტურდება, რომ ყველა ფართში არსებული სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას და გამოყენების პროცესის მართვას ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი ქ. ბათუმში და სპეციალისტები ქედასა და შუახევში. მატერიალური რესურსების მართვა ხორციელდება სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის ბრძანების № 01-02/137 „მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება N01-02/318 2021 წლის 10 დეკემბერი) შესაბამისად. კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი დროებითი კომისიების მიერ. კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის N01-02/181 04/12/2024 ბრძანება შექმნილი დროებითი კომისიის შესახებ, 2024 წლის ინვენტარიზაციის აქტი და საინვენტარიზაციო სხდომის ოქმები. ქ. ბათუმში კოლეჯის ადმინისტრაციული და სასწავლო მიზნებისთვის დაწესებულებას გააჩნია 6479 კვ.მ ფართზე აგებული შენობა ფართით 2071,99 კვ. მ. ბათუმის მისამართზე დაწესებულების შენობაში განთავსებულია შემდეგი სივრცეები: ფოიე, ლოჯისტიკის მენეჯერის, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორის; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრატორის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის, დუალური პროგრამების კოორდინატორის, სტუდენტური სერვისების უზრუნველყოფის სპეციალისტის, ფინანსური მენეჯერის, მთავარი ბუღალტერის, ბუღალტერის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის, რეესტრის წარმოების სპეციალისტის, ხარისხის მართვის მენეჯერის, იურისტის, დირექტორის, საქმისმწარმოებლის, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, დირექტორის მოადგილის, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მენეჯერის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სასწავლო პროცესის ასისტენტის, შესყიდვების მენეჯერი/შესყიდვების სპეციალისტის, მასწავლებლების სამუშაო და არქივის ადმინისტრაციული სივრცეები, ბიბლიოთეკა, საწყობი, მოდის ტექნოლოგიისა და დიზაინის, კულინარიის ხელოვნების, კონდიტორის, იატაკისა და ფილის სამუშაოების, მშენებლობის წარმოების, მოდის ტექნოლოგია და დიზაინის C გარემოებები; ტურიზმის მიმართულების, ელექტროობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვის ტექნოლოგიების, პირველადი გადაუდებელი

დახმარების, სასტუმროს A/C სასწავლო გარემოები; სათავსო, დამხმარე ოთახი, საწყობი, მედდის, დამლაგებლის, დამხმარე თანამშრომლების ოთახები, სამრეწველო ინვაციების ლაბორატორია- (ფაბლაბი); სანიტარული კვანძები, რომელთა შორის არის ადაპტირებული საპირფარეშოები. დაწესებულებაში განთავსებულია შემდეგი სასწავლო სივრცეები: A სასწავლო გარემო - 4; B სასწავლო გარემო -1; C სასწავლო გარემო - 8; A/B სასწავლო გარემო - 3; A/C - 5. მეცნიერება და ტექნოლოგიების ლაბორატორია A სასწავლო გარემო, 3 A/B სასწავლო გარემო, B სასწავლო გარემო, სასტუმროს მომსახურება Hilton Batumi სივრცე, 3 A/C.

